დისტანციური მუშაობა და სამუშაო კულტურა კერძო კომპანიების მაგალითზე

ნინო ბიწაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამა: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე დანელია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ბიწაძე

20.01.2023

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი, სახელწოდებით ,,დისტანციური მუშაობა და სამუშაო კულტურა კერძო კომპანიების მაგალითზე'', შედგება შესავლის, ტექსტის ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან, რასაც თან დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები კვლევის კითხვარების სახით.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ადამიანური რესურსების მენეჯმენტის აქტუალური საკითხები, ორი ძირითადი მიმართულებით: შესწავლილია დარგის განვითარების ისტორიული გამოცდილება და მართვის მექანიზმები.

მეორე თავში ძირითადი აქცენტები კეთდება ბანკებზე, რომლის საფუძველზე ჩატარებულია კვლევები. მნიშვნელოვან ფაქტორებს ბანკებთან მიმართებაში წარმოადგენს პერსონალის მართვის სპეციფიკა და არსებული ტენდენციები, რომლებიც განპირობებულია პანდემიური პროცესებითა და დისტანციური მუშაობის მოდელების გამოყენებით.

თვისებრივი კვლევის მიზანს წარმოადგენს დისტანციური მოდელის შეფასება მენეჯერების კუთხით, რათა გამოვლენილ იყოს ის ძირითადი პრობლემები, რომლებსაც ადგილი აქვს დისტანციური მოდელის პრაქტიკაში გამოყენების დროს, ხოლო რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე შევაფასდა მუშაობის სხვადასხვა მოდელი უშუალდო ბანკებში დასაქმებული პირების პრეფერენციების მიხედვით.

დასკვნით ნაწილში შევაჯამებთ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც იკვეთება საკვლევ საკთხებთან მიმართებაში და წარმოდგენილი იქნება შესაბამისი რეკომენდაციები.

Abstract

The presented master's thesis, entitled "Teleworking and work culture on the example of private companies", consists of an introduction, the main part of the text and a conclusion, which is accompanied by a list of used literature and appendices in the form of research questionnaires.

In the first chapter of the paper, the current issues of human resources management are discussed in two main directions - first of all, we will study the historical experience of the development of the field, and at the next stage, we will discuss the management mechanisms.

In the second chapter, the main emphasis is placed on banks, on the example of which studies were conducted. Important factors in relation to banks are the specifics of personnel management and current trends, which are caused by pandemic processes and the use of remote work models.

The objective of the qualitative research is to assess the distance model from the point of view of managers in order to identify the main problems that occur when using the distance model in practice.

And quantitative research aims to evaluate different work models according to the preferences of people employed in direct banks.

In the final part, we will summarize the main factors that are identified in relation to the research questions, and relevant recommendations will be presented.